



# Nanoment® SP 2115 W

წყალმოთხოვნილების ძლიერი შემამცირებელი  
/სუპერმაპლასტიფიცირებელი ქიმიური დანამატი  
ბეტონისთვის

## პროდუქტის აღწერა

Nanoment SP 2115 W წარმოადგენს წყალმოთხოვნილების ძლიერ შემამცირებელ /სუპერმაპლასტიფიცირებელ ქიმიურ დანამატს ქარხნული ბეტონის წარმოების საჭიროებებისთვის.

## გამოყენება

Nanoment SP 2115 W-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:

- ქარხნული ბეტონი, რომელიც მოითხოვს ადვილჩაწყობადობის მაღალ ხარისხს
- და ადვილჩაწყობადობის შენარჩუნების უნარს.
- ძლიერად არმირებული კონსტრუქციის ელემენტები, როგორცაა სიხისტის დიაფრაგმები, სვეტები და ძელები.
- სამრეწველო ნაგებობების იატაკები.
- არმირებული ბეტონის ფილები და იატაკები.
- დაბეტონების სამუშაოები იმ ადგილებში, სადაც ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის ჩასხმა გართულებულია.
- დაბეტონების სამუშაოები, სადაც საჭიროა ძალიან გლუვი ბეტონის ზედაპირი და ზედაპირული მოპირკეთება.

## უპირატესობები და მახასიათებლები

- უზრუნველყოფს ცემენტის ნაწილაკების ეფექტურ დისპერსიას, მიკროსტრუქტურაში არსებული მოდიფიცირებული პოლიმერის ჯაჭვების მოქმედებით.
- Nanoment SP 2115 W წარმოადგენს ქიმიურ დანამატს, რომელიც, კონსისტენციის ცვლილების გარეშე, იძლევა მოცემულ ბეტონში წყლის შემცველობის შემცირების საშუალებას, ან რომელიც, წყლის შემცველობის ცვლილების გარეშე, მნიშვნელოვნად ზრდის დაჯდომის/დენადობის ხარისხს, ან აღწევს ორივე ეფექტს ერთდროულად.
- შესადარებელი ბეტონისგან განსხვავებით, Nanoment SP 2115 W-ის სათანადო დოზით გამოყენება აუმჯობესებს ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის ადვილჩაწყობადობის უნარს და ამარტივებს ბეტონის არევის, ტრანსპორტირების, ჩასხმის და ვიბრაციული შემკვრივების სამუშაოებს.
- აუმჯობესებს ადვილჩაწყობადობას განშრეების რისკის გარეშე.
- ამცირებს შეღწევადობას და აუმჯობესებს გამაგრებული ბეტონის გამძლეობას, ადვილჩაწყობადობის სასურველი ხარისხის მიღებით წყლისა და შემკვრელის თანაფარდობაში წყლის დაბალი შემცველობის პირობებში.



- აუმჯობესებს გამაგრებული ბეტონის საბოლოო სიმტკიცის ხარისხს იმავე კონსისტენციის შესადარებელ ბეტონთან შედარებით, რომელიც არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს.
- აუმჯობესებს ახლად მომზადებული ბეტონის ნარევის გადაბმულობის ხარისხს და ამარტივებს ზედაპირული მოპირკეთების სამუშაოებს.
- ამცირებს ბეტონის შეკლებას და ცოცვადობას.
- არ შეიცავს ქლორიდს ან სხვა ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება, გამოიწვიოს კოროზია.

### მოხმარების წესები, რჩევები და გაფრთხილებები

- Nanoment SP 2115 W უნდა დაემატოს ანაზღაურების წყალს ან ახლად მომზადებულ ბეტონს არევის დროს. ახლად მომზადებულ ნარევეზე დამატების შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი დრო არევისთვის. Nanoment SP 2115 W არ უნდა დაემატოს მშრალ ნარევეს.
- იქიდან გამომდინარე, რომ ქიმიური დანამატების დოზაზე დიდ გავლენას ახდენს ცემენტის ტიპი, ბეტონის შემადგენელი ელემენტების თვისებები და ბეტონის ნარევის კომპონენტების შერჩევა, რეკომენდებულია, დანამატების ოპტიმალური დოზა განისაზღვროს საცდელი ანაზღაურების საფუძველზე.
- Nanoment SP 2115 W, როგორც წესი, თავსებადია პორტლანდცემენტის იმ ტიპებთან, რომლებიც აღწერილია EN 197-1-ში. ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება ბეტონის ნარევეებში, რომლებიც შეიცავს ისეთ მინერალურ დანამატებს, როგორცაა მიკროკაჟმიწა, წანატაცი ნაცარი და ბრძმედის გრანულირებული წიდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ნარევეში მინერალური დანამატების არსებობა დიდწილად განსაზღვრავს დანამატების საჭირო დოზას კონკრეტული მიზნების ან აქტივობებისთვის, Nanoment SP 2115 W-ის ოპტიმალური დოზა უნდა განისაზღვროს საცდელი ანაზღაურების საფუძველზე.
- დაცული უნდა იქნას დაყოვნების პროცედურები.
- ბეტონის ზედაპირი უნდა შეინარჩუნოთ სველ მდგომარეობაში დაყოვნებული ბეტონის შემთხვევებში, პლასტიკური შეკლების დროს ბზარწარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.
- გამოვლენილი არ არის სხვა ქიმიურ დანამატებთან შეურევობის შემთხვევები და შესაძლებელია მისი გამოყენება სხვა დანამატებთან იმავე ნარევეში. ერთად მოხმარების დროს, სხვადასხვა ტიპის ქიმიური დანამატები არ უნდა აირიოს ერთმანეთში და გამოყენებული უნდა იქნას ცალ-ცალკე. გთხოვთ, დაუკავშირდით Lyksor-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს დამატებითი ინფორმაციისათვის.

### რეკომენდებული დოზები

Nanoment SP 2115 W-ის რეკომენდებული დოზა ბეტონის ზოგადი სამუშაოებისთვის მერყეობს შემკვრელი მასალის (ცემენტი+მინერალური დანამატი) მასის 0.5%-დან- 1.2 %-მდე. დოზების გადაჭარბებამ შეიძლება, გამოიწვიოს ცემენტის ზედმეტი წვენის გამოსვლა და ბეტონის შეკვრის დროის გაზრდა. გასათვალისწინებელია, რომ Nanoment SP 2115-ის საჭირო დოზა, სასურველი შედეგის მისაღწევად, განსხვავებული იქნება ბეტონის თითოეული ნარევისთვის. შესაბამისი დოზა



განისაზღვრება საცდელი ანაზღვრების საფუძველზე. გთხოვთ, დაუკავშირდით Lyksor-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს ტექნიკური დახმარებისთვის.

### ტექნიკური მახასიათებლები

ფერი და ფორმა	ყავისფერი – სითხე
ქიმიური ბაზა	მოდულიზებული პოლიმერი
სიმკვრივე (კგ/ლ)	1.1450 – 1.1850 (+20 °C-ზე)
ქლორ-იონის შემცველობა	მაქს 0.1% - ქლორიდის გარეშე TS EN 934-2-ის მიხედვით
ტუტის შემცველობა	მაქს. 5%
pH	5.0 – 9.0
შესაბამისობა	TS EN 934-2 ცხრილი 11.1 – 11.2

#### ინსტრუმენტების გასუფთავება

პროდუქტთან დაკავშირებით გამოყენებული ინსტრუმენტების გასუფთავება შესაძლებელია მარტივად, წყლის გამოყენებით.

#### შეფუთვა

30 kg drum

1000 კგ IBC

მიწოდება დიდი მოცულობის პარტიებით

#### შენახვის პირობები და შენახვის ვადა

პროდუქტის შენახვის ვადა შეადგენს 24 თვეს, რეკომენდირებული შენახვის პირობებში ორიგინალი შეფუთვით შენახვის შემთხვევაში. პროდუქტი შენახული უნდა იქნას მშრალად, +10 °C-დან+35 °C-მდე ტემპერატურაზე. მოარიდეთ პროდუქტი პირდაპირი მზის სხივებს. პროდუქტის გაყინვის შემთხვევაში, მისი გამოყენება შესაძლებელია ოთახის ტემპერატურის პირობებში ნელა გაღვობის და მორევის გზით მისი ჰომოგენიზაციის შემდგომ. დაუშვებელია გაყინული პროდუქტის ცეცხლთან გაღვობა.

#### უსაფრთხოება და ჯანმრთელობა

კანზე მოხვედრის შემთხვევაში, დაიბანეთ კანი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაიბანეთ თვალი სუფთა წყლით. თვალში მოხვედრისას, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ პასპორტი მასალის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ (MSDS).

#### სამართლებრივი პასუხისმგებლობა

პროდუქტის პასპორტში მოცემული ტექნიკური სახის რეკომენდაციები ემყარება ბეტონის იმ ნარევებზე ჩატარებულ ექსპერიმენტულ კვლევებს, რომლებიც შემუშავდა LYKSOR-ის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის ლაბორატორიებში. მიღებული შედეგები შეიძლება, არ გამოდგეს ბეტონის სხვა ნარევებისთვის, რომლებიც მიღებულია Lyksor-ის ცდებში გამოყენებული მასალისგან განსხვავებული მასალებისგან. ყველა კლიენტი და მომხმარებელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს LYKSOR-ის შესაბამისი პროდუქცია საკუთარი მიზნებისთვის, და შეამოწმოს LYKSOR-ის პროდუქციის შესაბამისობა თავიანთი საჭიროებისთვის. გთხოვთ, დაუკავშირდით LYKSOR-ს, შესაბამისი პროდუქტის შესარჩევად და მათი მოხმარების წესებზე ინფორმაციის მისაღებად. LYKSOR-ი არ არის პასუხისმგებელი მისი პროდუქტების არასათანადო გამოყენებაზე.